

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 17 (1418)

26 / V - 3 / VI 1995 წ.

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე



მას შემდეგ, რაც 117 წლის მონობის შემდეგ საქართველომ თავისუფლება მოიპოვა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. 2 წლის, 9 თვისა და 9 დღის შემდეგ თებერვალმა, როგორც პოეტი იტყოდა, დაგვიზამთრა მაისი, მაგრამ საბუნდუნოდ არა სამუდამოდ. ხანგრძლივი მონობის შემდეგ საქართველო მაინც აღსდგა. დღეს კვლავ კირთების ქვეშ მყოფი,

ტერიტორიებდაკარგული, მაგრამ მაინც გაუტეხელი საქართველო თავისას მიაღწევს! ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!.. ამ რწმენით გვეზეიმოს ჩვენი თავისუფლების დღე, თანამეუბნელებო!

ნ ო მ ე რ უ ი ა

რამდენიმე სულელური
შეკითხვა მოქალაქეთა
კავშირის ჯგუფის ბენეფიციარ
მდივანს, ბატონ ზურაბ შვანიას
იხ. მე-2 გვ.

«როგორ, როგორ ბატონო
ჯაბა. От реки Ингури და
აქეთ რა იყო... იყო არა?»
იხ. მე-2 გვ.

საბაზრო ეკონომიკის
კარნახით იხინი
სამშობლოსაც ჰყიდიან...
ვინ იხინი?
იხ. მე - 4, 5 გვ.

რუმორ, რუმორ, ბატონო ჯაბა,

От реки Ингури და აქეთ რა იყო... იყო არა?

ივლიანე ხაინდრაფა.

პირველ რიგში სხდომის წევრებს დაკავშირებით ბატონო ვახტანგ, (იგულისხმება რჩეულიშვილი, რედ.) თქვენ ძალიან ორიგინალური ფორმა ამოირჩიეთ სხდომის წევრებისა. ჩვენ, დეპუტატებ-

ი, ყველანი თანაბრები ვართ ჩვენს უფლებებში, მაგრამ თქვენთვის ყველაზე თანაბარი და ამ თანაბართა შორის არის ბატონი ჯაბა იოსელიანი, რომელიც დღეს გამოდის მაშინ, როდესაც მოქსურვება, ამბობს იმას, რაც მოე-


სურვება და იმდენხანს, რამდენხანსაც მოესურვება. როგორც თქვენ აღნიშნეთ, ეს არის მისი ამ რეჟიმის მიმართ განსაკუთრებული დამსახურებების გამო. ცხადია, არც მე და არც თამაზ დიასამიძეს განსაკუთრებული დამსახურება ამ რეჟიმის მიმართ, მაგლობა ლმერის, არა გვაქვს, მაგრამ თანასწორუფლებიანობის პრინციპი აუცილებლად უნდა იყოს დაცული. ისე, იმასაც გავიხსენებ, რომ ერთი დეპუტატი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება ჰქონდა და დაჯილდოებული იყო სახელმწიფოს მეთაურის მიერ, დღეს საკანში ზის... და სხვათა შორის, ბატონო ჯაბა, ცოტა დაფიქრდით იმაზე, რა ბედი ენია ბატონ თენგიზ კიტოვანს, გამომდინარე ჩვენი ხელისუფლების ტექნოლოგიიდან, რომელიც ახლა მეფობს საქართველოში. არ

გამიკვირდება იგივე... თქვენთანაც მაქვს შეკითხვა, ბატონო ჯაბა. სანამ შევარდნაზე თქვენი მეშვეობით იმას აკეთებდა, რაც უნდოდა და თქვენ მისი მეშვეობით აკეთებდით იმას, რაც თქვენ გინდოდათ, მანამდე ყველაფერი კარგად იყო. თურმე ახლა აირია საქმე საქართველოში და ახლა აღმოჩნდა ცუდი მომენტები, რომელზედაც თქვენ ერთი სხდომის განმავლობაში მრავალჯერ მოგვმართავთ პარლამენტარებს. ისე (არ ისმის) როგორ იყო, ბატონო ჯაბა От реки Ингури და აქეთ რა იყო... იყო არა? (ხმა დარბაზიდან არ ისმის). მაპატიეთ, სიტყვა დამამთავრებინეთ, ისე კარგი იქნება, რომ ბატონი ჯაბა (ხმაური დარბაზში, არ ისმის) მარტო ჯაბა იოსელიანი კი არა, პარლამენტში მჯდომი სხვა, კიდევ

ბევრი, ვინც ამ საკითხზე არ დაფიქრებულა, იქნებ დაფიქრდეს, რადგან ხელისუფლების და ძალაუფლების ტექნოლოგია საქართველოში დღეს ისეთია, როდესაც ადამიანს, მაპატიეთ, ხმარობენ და ნახშირი ცხვირსახოცივით გვერდზე გადაადგებენ ხოლმე.

ახლა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. დღესაც და საერთოდ, მთავარი საკითხი, ეს არის ხელისუფლების საკითხი ადგილებზე, თვითმმართველობის საკითხი... დღეს კანონიერი ხელისუფლება ადგილებზე საქართველოში არ არსებობს. ის გამგობები თუ რაღაც სხვა ფორმები, ასე თუ ისე არსებობდა თუ არ არსებობდა, მათი უფლებამოსილების ვადა გავიდა 31 მარტს. ამის შემდეგ წა-

გაგრძელება მე - 6 გვ.



რამდენიმე სულელური შეკითხვა მოქალაქეთა კავშირის ჭკვიან ბენერალურ მდივანს ბატონ ზურაბ ჟვანიას

წინასაარჩევნო პრესკონფერენციიდან ირჯვავა, მმართველი პარტია მათგან გაუმდურ-ბრძოლ მთელად იქნება ვლავ გამედნიერებას ჰპირდება!...

ბატონო ზურაბ, უკაცრავად, ამხანაგო გენერალურ მდივანო, მაქვს რამდენიმე კითხვა, რომელსაც თავად ვერ გავეცი პასუხი და ამად ვბედავ თქვენი მაღალი ყურადღების მოპყრობას.

კერძოდ, ვერ გავიგე მე, ქალაქ თბილისი მკვიდრი, ამქვეყნად კანონიერი ქორწინებით მოვლინებული, პასპორტის ალების ასაკს გადაცილებული, საცხოვრებელ ადგილზე მუღმივი ჩანერის მქონე, არანასამართლვეი, არაუმუშევარი, თქვენი პარტიის არანევრი, ვარ თუ არა საქართველოს მოქალაქე. თქვენი პარტიისა თუ ზეპარტიის წევრები ინოდებიან საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრებად, გთხოვთ, განმარტოთ, ვინც არ არის თქვენი წევრი, შეიძლება თუ არა ინოდებოდეს საქართველოს მოქალაქედ, ან უბრა-

ლოდ მოქალაქედ? ელემენტარული ლოგიკა მიმანიშნებს, თუ მე მოქალაქე ვარ, ზნდა ვიგულისხმებოდე მოქალაქეთა შფრის, თუ არ ვიგულისხმებდი, არ ვყოფილვარ მოქალაქე, არ ვყოფილვარ კაცი, ადამიანი. სხვათა შორის, ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ. მაგალითად, ჩემი რამდენიმე ნაცნობი მოქალაქეთა კავშირში შესვლის შემდეგ იქცნენ ნამდვილ მოქალაქეებად. ცხოვრობენ ლალად, გაუჭირვებლად, მდიდრულად, მიიღეს თანამდებობები, პატივი. პირტიცველა ბიჭებს ჩაბარდათ უზარმაზარი პოსტები. ეს პატივი მათ, რასჭვირველია, ნიჭისა და ენერგიული მუშაობის გამო ხვდათ წილად, მაგრამ ვერ გავიგე, მათი ნიჭიერება მოქკავშირში შესვლის შემდეგ გახდა საცნაური თუ მანამდეც სწყვეტდნენ ვარსკვლავებს?

თუ მოქკავშირში შესვლა-მდეც ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ, რატომ იყო ეს ფაქტი საყოველთაოდ გასაიდუმლოებული? ხოლო თუ უნიჭონი იყვნენ, თქვენთან განვერიანებინსთანავე როგორ შთაბერა ახალი სული მათ მამაზეციერმა? ბატონო ზურაბ, ადრე, უძრობის დროს „ხალხის გონება, სინდისი და პატიოსნება“ კომპარტია იყო. კომპარტიის წევრები კი ყველაზე „გონიერი“, ყველაზე „სინდისიერი“ და „პატიოსანი“ ადამიანები გახლდათ (კომუნისტის სახელის ღირსი ყველა როდი იყო). შემდეგ დაინყო „მოდრობის“ წლები და აღმოჩნდა, რომ კომპარტია წესიერი კი არა, კაცობრიობის ყველაზე გათახსირებული ნაწილი ყოფილა. შესაბამისად, კომპარტიის წევრებმა საჯაროდ თა-

გაგრძელება მე - 6 გვ.

საიდუმლო არქივები კიდევ გვარ რამეს მოგვინებენ ნათელს

საბჭოთა კავშირში გაიხსნა არქივები, რომლებშიც მოთავსებულია საიდუმლო მასალები. არქივების კარადების სიგრძე 500 კილომეტრს ავსებს... საარქივო მასალები დაყოფილია კატეგორიებად, იმისდა მიხედვით, რამდენად საიდუმლოა მასალა. არის ნაწილი საარქივო დოკუმენტებისა, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ამერიკის მკვლევართათვისაც. ისინი ისწრაფვიან რაც შეიძლება მეტი დოკუმენტი შეისწავლონ, რადგან ემინიათ რუსეთში პოლიტიკური კლიმატის შეცვლას და აკრძალვების დაწესებას. ცხადია, ყველა დოკუმენტი არც დღესაც ხელმისაწვდომი საიდუმლო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირზე ჭემა — დიდება ჯონ რიდს უანგაროდ არ დაუწერია. მისი გახმაურებული თხზულება

„10 დღე რომელმაც შეძრა მსოფლიო“ და რომელშიც იგი ჯუნდრუეს უკმევს სტალინის რეჟიმს, ძალზე ძვირი დასჯდომია საბჭოთა მთავრობას. ჯონ რიდისათვის მიუციათ 1000000 (ერთი მილიონი დოლარი) და ბრილიანტები.

ამავე დოკუმენტების წყალობით გაირკვა, რომ აშშ-ში კომუნისტურ პარტიას აფინანსებდა სსრკ. ამერიკელი კომუნისტები ამ ფულის გამო ყიდდნენ ამერიკის ინტერესებს. მათი წვლილია ატომური ბომბის შექმნის საიდუმლოების გაცემასიც და ა.შ. ასე რომ, გამყიდველობა, როგორც ჩანს, საერთო კომუნისტური სენია და მარტო ჩვენი კომუნისტები არ გამოიღჩევიან ამ „ძვირფასი“ თვისებით. მასალა მოგზადა „ამერიკის ხმის“ ინფორმაციაზე დასაყრდნით.


პაპა შანიძე — „ქაო, აქ არ დაბტოვო! ...“

ათეხაზეთის თმში უგზო-უგზოდ დაკარგულთა უმცირესი ნაწილი უკვე გვესაუბრება თმის მინაწილად, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სამსახურის პოლიციის სამმართველოს უფროსის მთავარი, პოლკოვნიკი ვაჟა შანიძე...

აშხაზეთის თმის დაბტოვების შემდეგ ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა — უგზო-უგზოდ დაკარგულ თმის მონაწილეთა დადგენა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი მოძებნა ამასთან დაკავშირებით თითქმის არაერთი ღონისძიებითა კომპლექსი, რის საფუძველზეც სორციველება ამ პირთა ძებნა. ხშირად ამ პროცესს წინ უსწრებს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და წინასწარი გამოძიების ჩატარება კი მაგრამ ყველაფერ ამის განხორციელებას სჭირდება სპეციალური სტატუსი. თუკი ვინმე შეგებრდება ამის განხორციელებას შესაბამისი სტატუსის გარეშე, ეს რბილად რომ ვთქვათ, თვალში ნაცარის შეყრა იქნება და მეტი არაფერი...

დღეისათვის, საქართველოში უგზო-უგზოდ დაკარგულ სამხედროთა და მოხალისე-მოლაშქრეთა მიმართ არაა აღძრული ძებნის არც ერთი საქმე. მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპიდან გამომდინარე — უნდა აღიზრას სხვათა იმდენი საქმე რამდენი უგზო-უგზოდ დაკარგულ სამხედრო პირიც გვყავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ტყვეთა დაბრუნება-გაცვლის საკითხებს განიხილავს და ახორციელებს (ამასთან, ერთობ არაუფასურად), არა თავდაცვის სამინისტროს რეზიდენტი სტრუქტურა, არამედ სამოგზაურო-რივე სტრუქტურები. სწორედ ამის გამოც იქნებ რამდენი სეპარატისტისა და გადამთავრების გაბიზამოვასკენით და დაეიტრიეთ, როგორც ქართველი მებრძოლი.

ამ საკითხს აფხაზთა მხარეში უკვე აუღო ადგილი და მათი მხრიდან ტყვეთა გაცვლისა და მოძიების საქმეში მონაწილეობის უშეშროების თანამშრომელი. ჩვენი მხრიდან ტყვეთა გაცვლა-მოძიების



საქმეში შესაბამისი ხელშეწყობის მართვით, საკითხის მოგვარება უფრო ეფექტური იქნებოდა, რადგანაც ორივე მხარის ოპერატიული სამსახურები უფრო იოლად გამოინახებენ საერთო ენას („მუნჯის ენა დედაძიცის“).

შენიშნავთ იმასაც, რომ თავდაცვის სამინისტროს სისტემა არ აწარმოებდა უგზო-უგზოდ დაკარგულ სამხედროთა აღრიცხვას და ბუნებრივად, ეს ვერ გაკეთდებოდა, მიუხედავად უგზო-უგზოდ დაკარგულ მოხალისეთა მიმართ. ამიტომაც ყოველი მონაცემი უგზო-უგზოდ დაკარგულთა რაოდენობაზე, მახლობლობაზე კი არ შეიძლება სინამდვილეს შეესაბამებოდეს. გამომდინარე აქედან, ვინც ამ საკითხებზე წერს, მათ დიდი სიფრთხილე მართებთ.

ყველაფერს რომ თავი დაეკ...

ნებით, უგზო-უგზოდ დაკარგულზე ზრუნვა, მათი ძებნა ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებშიც შედის, რადგანაც თავისი ჯარისკაცის ბოლომდე პატრონობა, დაღუპვის ან ტყვედ ჩაგვარების შემთხვევაში მათი არდავიწყება, ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა სხვა მეომრებისა თუ მომავალი მებრძოლების იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური მომზადებისათვის, მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისთვის. ასეც რომ არ იყოს, მხოლოდ დაღუპვის ფაქტის დაფიქსირება, ვერაფერი ნუგეშია მათი ოჯახებისათვის. მოზღვრებისა და მკვლელების, შეიღებისა და ახლობლებისათვის, აუცილებელია ამომწურავი ინფორმაცია დაღუპულ მებრძოლთა გმირულ თავგანწირვაზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე და ა.შ.

თუკი ჩვენ ამ პრობლემის მოგვარება გვინდა, საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიონალებით და აღჭურვილი იქნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სხვა შემთხვევაში, მომავალში უგზო-უგზოდ დაკარგულთა მოძიების საგალალო შედეგები მოსალოდნელზე ბევრად მეტი იქნება.

დასასრულს კი მივმართავ ყველას, უპირველესად კი იმთა, ვისაც ეს სამსახურებრივად ეხება, ახსოვდეთ მუდამ ომში დაცემული ბიჭების ბოლო სიტყვები: „მამო, აქ არ დაბტოვო!“ ზოდა, ჩვენც ყველაფერი ვიღონოთ და უპატრონოთ საქართველოს მიუღანობისათვის ბრძოლაში დაცემულს და ყველაფერს გამოვამწუროთ, რაც მათ სახელმწიფოთა დაკავშირებული.

რამდენიმე სულსუმი უმკითხვა მოქალაქეთა კავშირის ჭკვიან გენერალურ მდივანს ბატონ ზურაბ შანიძას

მერე გვერდიდან ვზე ნაცარი გადაიყარეს... პარტიზლები ნაფლეთებდა აქციებს... დღეს ჩვენი გონება, სინდისი და პატიოსნება მოქცევირია, მოქცევირის ნევრების დიდი უმრავლესობა კი არიან თავის დროზე თავზენაცარნაცრილი კომპარტიელები. ერთი მწერლის არ იყოს, აწრორამ, როდინოვმა და კიტოვანმა რანაირად ისროლეს ერთი და იგივე ხალხის გულსთვის? ვერ გამიგია! ამასთანავე, მინდა გაცნობოთ ამხანაგო მდივანო, რომ მთლად ბრმა და ყრუ არც მე გახლავართ. რალაცების გაგება მეც შემიძლია. მაგალითად, ვიცი რომ მოქცევირის ნევრი თუ გახდები და სათა...

ნადოდ გადავიტყავებ ტაშით ხელებს, თქვენი წყალობით შეიძლება გამგებლობასაც კი გამოვკრა ხელი, ასეთ-მონყალებებში, როგორც ამბობენ, თქვენ დასპეციალებული ბრძანდებით და თქვენი რეკომენდაციით ერთ დღეში შეიძლება ვაცივით გაკეთდეს კაცი. ამიტომ გადავწყვიტე შემოვიდე მოქალაქეთა კავშირში, სწორედ ამასთან დაკავშირებით გამიზნა კითხვები, რომელზეც ვერ ვიძლევი პასუხებს, არადა მოქცევირის ნევრმა მასას ყველაფერზე დამაჯერებლად უნდა ვესაუბრო. ვიცი, უნდა ვთქვა, რომ ქვეყანას აშენებს მოქალაქეთა კავშირი და მისი თავმჯდომარე. ამ წმინდა საქმეში მათ ხელს უშლის ოპოზიცია, რომ ქვეყანას ანგრევს ოპოზიცია და ა.შ.

კითხვაზე: ვინ დაგვაკარგვინა აფხაზეთი? ვუპასუხებ: ნათაძემ, ხანდრავამ, ბერძენიშვილმა, პატაშვილმა, დიასამიძემ, შოთა ნადირაშვილმა. კითხვაზე, ვინ დაგვიბრუნებს აფხაზეთს? ვუპასუხებ: ჟვანია, მამალაძე, ჭყუასელი, კირთაძე, დევედარიანი, ბრეგვაძე. კითხვაზე: ვინ გაანიავა კრედიტები? ვუპასუხებ: ნათაძემ, ჩხეიძემ, ნიკოლაიშვილმა, ხმალაძემ, მელაშვილმა. კითხვაზე: ვინ იბრძოდა ამ მანკიერების წინააღმდეგ? ვუპასუხებ: ჟვანია (გადაარჩინა 102 მილიარდი კრედიტი), ორჯონიკიძე (ჩაფუშა 100000 დოლარის გამოტანის მცდელობა), დვალისვილი (კა...

პიკს არ გასცემდა განსაკუთრებული საჭიროების გარეშე) და ა.შ. ამდაგვარი პასუხების შემდეგ, ჩემი იდეურ სიმტკიცეში, ამხანაგო მდივანო, ვგონებ ეჭვი არ შეგეპარებათ და მიიღებთ მოქალაქეთა კავშირის ნევრად, იქნებ ამის შემდეგ აღმადგინოთ იმ თანამდებობაზე, რომლიდანაც თქვენმა დამქაშებმა ახლახან გამანათვისუფლეს, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იქ მოქცევირის ნევრი უნდა დანიშნულიყო, შაშინ ნამკვილად დაგვჯერე, რომ თქვენ მართლა აშენებთ, ოღონდ სხვისი უბედურების ხარჯზე აშენებთ თქვენს ბედნიერებას...

გაბაშვილი საბჭოთა ერთი პარტიის მდივანი

(18 მაისი, პარლამენტში გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი).

ოლღა დემურია-ქოსტავა: ჩემი შვილი მერაბ ქოსტავა

დღეაღქვს მაისს მერამ ვისცავას 56 წელი შეუსტრულდება. მის სახელ-მეტიყეში მზადემა იცო, ძალმაცდნი ღლღა დემურია-ვსცავა თავაჩინანდ დავთანხმდა ინფორმაცი...

— „შენ განსაკუთრებით უნდა მოუარო თავს და დამხველ მართლი და უკნებელი“ — ქალბატონი ოლღა ამას მერამ ქოსტავა გაღასსლებიდან გწერდათ. დღეს როდესაც საქართველოში ცხოვრება ნამდვილად გაუსაძლისი გახდა, როგორ ბრძანდებით, როგორ ცხოვრობთ?

— რა გითხრათ შვილო, კიდევ ერთ ასეთ ზამთარს მე ვერ გადავიტან, ასეთი გაჭირვება ომის დროს არ მიერძენია. გათბობის არავითარი საშუალება არ მქონდა, საჭმელსაც ვერ ვაცხვებდი, ღმერთმა დალოცოს კეთილი ზღბი, ღუმელიც და შემაც მათ მომიტანეს. ზემი ვეცხი მიღლინი კუპონით მე რა უნდა გავაკეთო? ზელისუფლების მხრიდან არავითარი დახმარება არ არის, მხოლოდ „მრავალი მავიდა“ და „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების“ წევრები მაკითხავენ კიდევ „წითელი უჯრის“ საზოგადოებიდან ვიღვ პუბლიტარულ დახმარებას, როგორც მარტონელა პენსიონერი, მოკლედ ვცხოვრობ ისე, როგორც ყველა. ადრე ექიმიც იყო და წამლებიც ეხლა ზემი „სასწრაფო დახმარება“ პროფესორი ნოდარ ტაბიძეა, კოკა გაწერულია, მერაბის მეგობარი, მამარაგებს მედიკამენტებით.

— ქალბატონი ოლღა, მერამ ქოსტავა როგორი პიროვნება და ეროვნული მოღვაწე იყო, ყველამ კარგად ვიცით, მისი კრული გოეგარდეთ ეროვნული მოძრაობა და არა საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაში“ ყველაფრის დამტყვია, მაგრამ როგორი შვილი იყო, რა უყვარდა, რა არ მოსწონდა.

— ძალიან კარგი შვილი იყო მერაბი, წყნარი, ყურადღებიანი. მე არ მეუბნებოდა, მაგრამ გარეთ რომ გადიოდა, ყველას სთხოვდა — დედა მარტა და შედითო. ციხეში მყოფი კეთილშობილურ ტყუილსაც არ თაკილობდა, მწერდა: „ჩემზე ნუ იღარდებ, ყველაზე ნაკლებ გასაჭირში მე ვიმყოფები, ციხე ჩემთვის გართობაა და ცხოვრების შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი“. ზომ ვიცოდი, როგორ პირობებშიც იყო, მაინც ასვრხებდა და მე მამშვიდებდა.

მერაბი ძალიან კატომოყვარე იყო. არანაირი პირადი კეთილდღეობა მისთვის არ არსებობდა. უკანას-

კნელს გასცემდა. ერთხელ 600 მანეთი გვერნდა გადანახული (ეს მაშინ დიდი თანხა იყო). სახლში რომ მოვედი, ვერ ვახხე, გამიკვირდა. მერაბმა მითხრა, ავადმყოფი პატარის მშობელს მივეცი, მას უფრო სჭირდებოდა, ჩვენ რაღაცას ვიშოვნით, მშვირები არ დავიხრციებთო. მხოლოდ წიგნები და თაროები — აი რა სჭირდებოდა და კიდევ რაიალი...

მერაბი კარგი პიანისტი იყო. შოპენი უყვარდა ძალიან, მისი ვტოლები, მოცარტი და ბეთხოვენი. კონსერვატორიაში მისალები გამოცდების დროს, კომისიის თავმჯდომარემ იონა ტუხუაძე აღფრთოვანება ვერ დამალა — თქვენ მიღებული ზარო, დაიბაზა იქვე დარბაზში. ერთხელ უკვე დამატარებულს ატესტატში „ოთხი“ ეწერა (მუსიკალური სკოლის დირექტორმა ალბათ „თავი დაიხვია“). რატომ გაქვთ „ოთხი“? გაუკვირდა იონა ტუხუაძე — ალბათ ტყუილად ჩამორჩენილირის გამო — უბასუხა მერაბმა.


დარბაზში სიცილი ატყდა. მერაბი ლისტის „ოპერამანის ვალსს“ უკრავდა...

— იცოდევ დადარდაინებულ სახეს შენსას, რანაირიც ბოლოს ვიხილე ვერა და ვერ ვიტანა. — ეს მერაბის სიტყვებია, ქალბატონი ოლღა.

— ე, შვილო, რაც დღეს მე მაინცნლებს ზღბია, რომელიც მართლაც უმარაი მოღის სახელ-მეტიყეში. მოღიან დილით და საღამოთი, ჩვენი მუშაობის საათები ფორმალურად 11-დან 15 საათამდეა, მაგრამ როგორ შეიძლება მერამ ქოსტავას სახლში მოსულ კაცს კარი დაკეტილი დახვდეს. ეს კარი მერაბის სიცოცხლეში სულ ღია იყო... მე კი ძალიან მოეყვდი, 26 მაისს კიდევ გავალ ზემი შვილის საფლავზე, სიბართლე გითხრათ, სიარულიც მიჭირს, ზემოდა ზომ არ არის, წელს ავიხსტოში 80 წელი შემისრულდება.

დავეშვიდობე სათნო ქალბატონს, დედას, რომლის შესახებ შვილი წერდა: „ჭეშმარიტად დიდათა ვარ შენგან დაფლებული, ამჟამად ვის შეუძლია იამაყოს, საკუთარი დედით, თუ არა მე“.

ესაუბრა
ლელა ჯანჯალაშვილი



კომპიუტერზე მუშაობის უსწავლის მსურველთა საყურადღებოდ!


განათლების სამინისტროს სსსკ „ინფორმატიკას“ თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე. მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან მისთვის სასურველი. სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია IBM-ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები, პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა. კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის ჩიხი N 87 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე)

პირიზონტალურად 1. რახმანინოვის ოპერა. 6. არქიტექტურული ძეგლი საქართველოში. 9. მე-20 ს. ფრანტი მწერალი. 10. ადამიანის სულიერი მღელვარება, განცდა. 11. პუნების ბელადი. 18. მითური მებრძოლი ქალი. 19. დიდი ფორმატი, წიგნი. 20. რელიგიური საგალობელი. 21. მე-19 ს. ამერიკელი ფილოსოფოსი და პოეტი. 25. დედოფლის აპოლონის ტაძრის წინასწარმეტყველი ქურუმი ქალი. 27. წერილი. 28. მე-19—20 ს. გამოჩენილი რუსი მხატვარი. 29. გენიალური იტალიელი მოქანდაკე და მხატვარი. 30. „ოტელოს“ პერსონაჟი.

მერტიპალურად 2. საპატიო წოდება, რომელსაც ანიჭებენ ხელოვნებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის. 3. მე-17 ს. ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე. 4. მრავალგვერდიანი სტამბური პროდუქცია. 5. პიბლიური ბაღი, წალკოტი. 7. შექსპირის ტრაგედია. 8. გოლდონის „სასტუმროს დასახლისის“ პერსონაჟი. 12. სასაზღვრო სოფელი საქართველოში. 13. სასვენი ნიშანი. 14. გვაროვნული თემი. 15. მე-20 ს. ცნობილი ინგლისელი მწერალი. 16. სიმებიანი მუსიკალური საკრავი. 17. ყაზბეგის „ხევისბერი გოზას“ პერსონაჟი. 22. სლავური დამწერლობა. 23. ერთიანი მნიშვნელობის სხვა და სხვა სიტყვა. 24. სურათზე, კედელზე ან სხვა რამეზე შემოღლებული ნახაზი, ნახატი. 26. თანამედროვე ამერიკელი მწერალი, ფანტასტი.

კროსვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პირიზონტალურად: 5. კუბრინი. 6. ფანტაზი. 7. სტამბა. 9. ესქილე. 13. კლარკი. 14. გოეთე. 15. ავესტა. 16. თილია. 18. ენგრი. 20. დრამატურგია. 23. იგავი. 25. პრიმა. 28. ყურანი. 30. რაბლე. 31. იაზონი. 32. ალუზია. 33. გოთიკა. 34. ისტორია. 35. დიკენსი.

მერტიპალურად: 1. ფურცელი. 2. აწმარი. 3. თამილა. 4. არტისტი. 7. სურათი. 8. ბოუზა. 10. სკენე. 11. ელგია. 12. რელაქტრება. 17. ლორა. 19. გრაბი. 21. ციტატა. 22. ზარზმა. 24. იორკი. 25. პრეკი. 26. რუბენი. 27. ანტეოსი. 29. ილუზია. 31. ილითა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბარძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დინასამიძე, ბელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო კაბატაშვილი, ივლიანე ხაინდრაბა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყვისუფლიაის მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1200 რუბლი.
ან 300 000 კუპონი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
93-18-41